

მაისი

1935 წ.

№ 113

# დამოუკიდებლობის გარემონტი

საქართველოს პოლიტიკური პარტიის დრგანი.

შინაარსი:

მეთაური—დამოუკიდებლობის დღე.

რ. ინგილი—26—V.

ილია წერებიძე—26 მაისი.

ს. ფირცხალავა—როგორ ვიდლესასწაულოთ.

პ. ბაგაბაძე—საოცხაციო ხელისფ. და 26 მაისი.

საყურადღებოთ.

ნაური—წერილი ამერიკიდან.

პარიზ-მოსკოვის პაქტის შესახებ. და სხვ.

## დამოუკიდებლობის დღე

ქართველმა ერმა მხოლოდ სამჯერ, 1918-1919-1920 წ.-წ., გადაიხადა შეიმით თავის დამოუკიდებლობის დღე, ჩვენ ვიხდით მას უცხოეთში მეხუთმეტეჯერ და აქედან, შეიძლება, ვინმემ, სულით უძლურმა, ის დასკვნა გააკეთოს, რომ დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, დაეკარგა მისი ადრინდელი შარავანდედი, არ ბრწყინავს კვლავინდებურათ, არ გვინათებს გზას! ჩვენ შევგიძლია უფრო მწარე ფიქრებსაც მივეცეთ, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველ ერს წელს, 25 თებერვალს, მოსკოვიტებმა მეხუთმეტეჯერ აუქმეს ძალით დამოუკიდებლობის დაუზღვის დღე! ასე შორს რომანვების მართველობაც არ წასულა, 12 სექტემბერი 1801 წ., დღე ალექსანდრე პირველის მიერ საქართველოს ანექსიისა, მას არ გამოუცხადებია უქმედ, არ მოუთხოვია ქართველ ერისთვის მისი გადახდა.

ეს პარალელი მაჩვენებელია იმის, თუ რამდენათ უფრო ფლიდ, ვერაგ, მუხთალ მტერთან გვავეგს ჩვენ დღეს საქმე. კიდევ მეტი, 25 თებერვალს ის საქართველოს, მის გლეხთა და მუშების განთავისუფლების დღეს ეძახის! და ეს არის სწორეთ ნამდვილი ნიშანი იმისა, რომ დღევანდელი უმაგალითო მტერიც ვერ ბედავს უთხრას ერს, რომ თავისუფლება, დამოუკიდებლობა არ წარმოადგენს მისთვის ისეთ ლიტებულებას, ურმოლისოთ ერი არ ერობს, და მის მიერ საქართველოზე მიკერებული «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა» ტაკი-მას-ხარობაა, სხვა არათერი. ამიტომ, ისე როგორც კრე-

მლის მიერ სათავევანოთ გამოცხადებული საკავშირო «სოციალისტური სამშობლო» თვითეულ ერს აგონებს, რომ მას მართლა აქვს სამშობლო, მხოლოდ მოსკოვის ტყვეობაში,—25 თებერვალი აგონებს ქართველ ერს, რომ ის მართლა თავისუფალი იყო ერთ დღეს, 26 მაისს, და იქნება კიდევ, მიუხედავათ მტრის გათახსირებულ და სისხლიან ზომებისა ამის წინაამდევ.

გაიხსენეთ, რა მისწერა ლიტვინოვმა, მოსკოვის სახელით, შარშან სექტემბერს, ერთა ლიგას, სადაც დასმული იყო საბჭოთა კავშირის დაშვების კითხვა: ჩვენ ვაისრულობთ—სწერთა ის—ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც აღნიშნულია ერთა ლიგის პაკტში, მხოლოდ ეს ვალდებულებანი არ ვრცელდებიან იმ აქტებზე, რომელიც საბჭოთა კავშირს მოუხდენია მის ერთა ლიგაში დაშვების დღემდეღ ყველა მიხედა, რა თქმა უნდა, რომ სტალინის მოცეკვლს, პირველ რიგზე, სახეში პქნ-და საქართველოს უფლების, საბჭოთა მიერ ცნობილ უფლების, ფეხევეზ გათელვა, რომელიც ეწინაამდეგებოდა ლიგის პაქტის ყველა მუშლებს, ვერაგულათ არლევდა მათ. აქაც აშეკარათ გამოჩნდა, მაშასადამე, რომ მოსკოვი ვერ ბედავს მის მიერ დათურგულ უფლების უარყოფას, გაუბის ამ კითხვის დამას და თვით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესაც არსებულად აღიარებს უფლებრივათ, მიუხედავათ მისი მოსპობისა ფაქტიურათ.

შვეიცარიის მამაცმა საგარეო მინისტრმა მო-

ტამ საჯაროთ მიაჩალა მოსკოვიტებს, ომშ საქართველოს კიოხება არ მომქედარა, ომშ ის არ გაჰქირება უწევის საერთაშორისო ასპარეზიდან მანამ, სანამ ქართველი ერი არ აღადგენს თავის დამოუკიდებლობას, უქენაესობას და არ შევა თავისუფალ ჭრთა იჯახში.

საფრანგეთმა შეაყოფინა მოსკოვს უკანა კარებიდან ერთა ლიგაში თავი, ქვეყნიერება მოწმეა ნამდვილ ფარსის გათამაშებისა ამ მაისის დღებსა იმავ მოსკოვში, პირ ლავალის იქ ჩასვლის გამო. რა არ აჩვენეს სტუმარს, რა არ გადაუშალეს: სამხედრო ძლიერება, ხელობნების ალმაფრენა, ნაირნაირი სუფრა, მცხოვრებთა კეთილდღეობა, ერთა ბედინერება, ცეკვა, ლენინი! რაც შეეხება სიტყვებს, მოსკოვიტებმა ხომ გადაუსარბეს ყოველ ზომას, ეფიცებოდენ სტუმარს მეცნობრბას, ერთგულობას; არას დროს არ ყოფილა სტალინი ისე ლალი, ისე ენაწყლიანი, როგორც ეხლაო—იუწყებან უურნალისტები. რა მარხია სიტყვების ამ კორიანტელში, საღებერძელოებში და ალუმებში, თუ არა ტლანქი ცდა თვალი აუზვებიონ უცხოეთს, დაუმალონ სინამდვილე, ჯოჯოსეთური სინამდვილე? განა ამისთვის არ თოთიან კრემლის მეტროვენი, ამისთვის არ ეშინიათ ომისა? კაპიტალიზმის «მესაფლავენი», ბურუჟაზიის «დამარტკებელნი», როგორც უწოდებდენ ბოლშევიკები თავის თავს, დღეს იმავ კაპიტალიზმის და ბურუჟაზიის კალთას ეფარებიან, რათა თავი გადაირჩინონ ხალხის რისხეისგან. წავიდა ის დრო, როცა ისინი სხვა ქვეყნებს უპირებდენ შიგნიდან აფეთქებას, ხალხებს უჯანყებდენ და თვითონ ლამობდენ მათხე გაბატონებას. ეს თამაში წაგებულია ყველგან და, როცა ჯერი მიდგა თვით საბჭოთა კავშირშე, რომელსც ემუქრებიან ალმოსავლეთით და დასავლეთით, სტალინი და მისი დამქაშნი ემუდარებიან საფრანგეთს, ერთა ლიგას, გვიშველეთ, ზავი ერთათ დავიცვათ! ვის ატყუჟენ, ვინ დაუჯერებს, ვის შეუძლია ააცდინოს მათ ისტორიის განაჩენი?

არა, კრემლის ვაჟ-ბატონებს დიდი ხნის ნავარდი არ უწერიათ, საფრანგეთი უფრო ჩერა მისგადება, ვინებ გერმანია, მათი სიტყვების სრულს უნიადაგობას, მათ სისუსტეს, განწირულებას. მას მწარე გაკვეთილიც აქვს ამისათვის: ბრესტ-ლიტოვსკი! ჩვენს დროში, როცა ომი ნამდვილ ხაყოველთაონ ხალხურ უბედურების ხასიათს იღებს; როცა ზურგს მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვინებ ფრინტს, თიხის საირკველზედ აშენებული საბჭოთა იმპერია უფრო ადრე დაიმსხრევა, ვინებ მისი წინაპარი რომანვების იმპერია.

საბჭოთა ჩაგრულნი ერნი, რომელნიც თავისივე თვალით ხედვენ საბჭოთა იმპერიის შინაგან სიდამბლეს, უდღეობას, არ შეუშინდებიან თაბლომატურ ბაქტებს და სიტყვების ქარ ბუქს, ისინი განაგრძებენ თავის ისტორიულ გზას თავდადებულ ბრძოლისა სამშობლოს გასანთავისუფლებლათ. ქართველი ერიც თავის საპატიო ადგილს დაიჭრს ამ ბრძოლაში, მისი საგმირო წარსული ამის თავდებია.

მაშასაღამე, დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი, მისი სამფერვანი დროშა კიდევ უფრო დიდ ადგილს იჭერს დღეს ქართველ ერის გულში, მის სისვნაში, მთელს არსებაში, ვინებ ღდესმე. ის აგონებს მას გარახდილ სახელვან ბრძოლებს და იწვევს ახალ ბრძოლებისკენ. ის გაელვებს მის თვალ წინ სამშობლოსათვის თავდადებულ უფალავ გმირებს და წარმოშობს ახალ რაზმებს საბოლოო გამარჯვებისთვის.

ჩვენ უნდა ავილოთ მაგალითი მშობელ ერისგან: შეხეთ, როგორ მამაცურათ იტანს ის მტრის მტარგალობას, როგორ ფხიჩლათ ხედება მის აინებს, როგორ დინჯათ ანგარიშობს თავის და მტრის ძალებს, როგორ მუყიათათ აფასებს საშინაო და საგარეო ვითარებას, როგორ ემზადება მტრისათვის საბედისწერო ქამისთვის... რას ვშვრებით ჩვენ ამ დროს უცხოეთში? ერთმანეთს დავხევიგართ! მაგრამ 26 მაისს ჩვენ არ გვინდა ამას წერა, რადგან დღეს მაიც ერთათ უნდა ვიყოთ, დავგმოთ შულლი ძმათა შორის. სამშობლო ერთია, ერიც—ერთი, ჩვენც ერთი უნდა ვიყოთ.

## 26 — V

ეს დღე სინტეზია ეროვნულ გრძნობათა და სურველთა.

ჩვენი პოლიტიკური ვანწყობილება ამ დღითი განიჩომება.

ამ დღესა ხდება განვლილის შეფასება, მომავლის გამოვარუდება, მისთვის სამზადისი.

26 მაისი ცენტრალური თარიღია, დასაბამია ქრონიკისისა.

ახალმა საქართველომ იგი დასდო ქამთათვის ქვაკუთხედათ.

26 მაისით შეუტყევლათა და სამარადისოთ ალმოისარა ქართული ნაციონალური სახე.

26 მაისმა ბრძყინვალებით შეკმოსა ხანდასმული გარჯა ქართველი ერისა თვითმყოფობისა და თვითმართველობისათვის.

26 მაისი იდუმალ ძაფებით გადაება წინა საუკუ-

ნოებს, განაცხოველა და განაახლა უცხოთა მიერ შეფერხებული ქართული შემჯემედება.

ამ დიად დღეს სამშობლოს მაღალ სამსახური-სათვის შეიტიცნენ ყველა წრისა და ოწმენის ქართველები. ერთ დროშის ქვეშ ინდომეს ლგომა ჯერ კოდევ წინადღეს გაყოლებიმა! ერთის მცნებით შეძმობილდნენ გუშინ გაყრილი და მოქიშენი!

ვინ აპხესნის ამ საკურიველებას? ერთი წიაღში წარმოშობილი მისტიკური ფენომენები დალაგებიან ორდინარ საგნობრივ ფუძეზე?! ეროვნული პრიმატი შესაძლებელია მიეთანაბროს ჩვეულებრივ სოციალ მოვლენას?

26 მაისს შემომტკიცდა ქართული ნაციონალი ნებისყოფა და ამ ერთობლივ განწყობილებას ბოლშევიკური დებინტეგრაცია არამაც თუ ვერ შეჰქმის, აღნავათაც ვერ შეჰქრის!

26 მაისით იმერ-ამერთა ფიქრთა და ზმანებათა განაარსების დემონსტრაცია მოხდა! პაზრმა ეს დღე შეიგნო, გულმა შეიცნაურა: ამიტომ ერთ მთელის არსებით შევეუბული არის მასთან!

26 მაისი ქართული პოლიტიკური სულისკვეთებისა და სახელმწიფოური სიბრძნის აპოთეოზი! ეს დღე გვინერგავს სულის სიმხრეებს, ნებისყოფის სიძლიერეს, გვაგსებს იმედით: ზე გვაქვნით გულნი!

ერევლე მეფესთან სააჯოთ მოსულ სრულიად საქართველოს დფსპანთ 128 წლის შემდგომ ელირ-სათ თანხმობის პასუხი: 26 მაისს უნიტარული საქართველო დიდი თამარის სახელმწიფოური საზომით აღსდგა. ამბავი ეს საოცარი, სახლაპრო მიუტანეს პატარა კახე მცხეთის ათორმეტში ხევსურეთის მთის არწივებმა: «ადრე მოვალთ მხიარულნი, ჩვენი ნახა გაიხარე...».

26 მაისის ამბავი სამყაროს როცა მიეფინა, კაციბრიობამ მუზრვალე კამაყოფილებით აღნიშნა უძველეს ერთი ხელაზალი შესვლა მის იჯახში სწორ-უფლებრივობით...

შერე შემოგვიტია ურიცხვმა მტერმა, —ისევ იმან, საქართველოს სამეფოს სუვერენიტეტი რომ მიიმძლავრა ძველათ: ფლიდი და გაუტანელი პატი-ოსნებასა და შეგობრობას გვეფიცებოდა! მუდამ შეკავარი და მოღალატე ერთგულებასა და ქომაბობას გვპირდებოდა! ისტორიულად სიტყვის გამტეხი ახალ ხელშეკრულებით გვაძრუებდა... ორი ტრაქტატი და ორთავეს დარღვევა კრიმინალურათ! უპირო იყო საიმპერატორო რუსეთი საქართველოსად-მი და ესევე სენი ატავისტურათ თავის მემკვიდრე ბოლშევიკურ ოხლოკრატიას გადასცა!

მაშინ—1918 წლის—როცა რუსეთი მოგვშორდა, მასის მზის შექმა საქართველო გაათბო და გაასი-ვოსნა!.. მობრუნდა რუსეთი და დაგვეურა წიგნი ცხოვრებისა, შეგვიწყდა თროთა ტრიალი, დაგვეუ-თვა თებერვლის სუსხმა....

წაგვტაცეს 26 მაისი, გარნა უკვდავი სული მისი დაპხრის საქართველოს ცაზე! საქართველოს დამო-უძველებლობის ცხოველმყოფელ იდეამ კვალად შთა-პშერა დაუთორუნველი, ალტაცებული ძალა ქართ-

ველობას და... დაიწყო განმეორებითი ბრძოლა, ბრძოლა მძიმე, სისხლინი, დაუნდობელი! იბრძვიან 26 მაისის ჭირისუფალნი, სახელოვანნი, თავგანწი-რულნი გმირნი!..

ქართულმა მარტიროლოგიამ თავის სისხლის ემბაზში გაპბანა და აკურთხა 26 მაისის დროშა ვი-დრე ის ხელთვის მტერი, მტერს გამარჯვება არ უშე-რია!

თოთხმეტი წლის განმავლობაში დამპყრობელი პთხნავს საქართველოს ცას, მაგრამ მაზე ამოქარ-გული 26 მაისის ბაირალი ვერ წაშალა! ამასა პხედა-ვენ ქართველები და არაქართველებიც, მოყვარენი-ცა და მტერნიცა, ადგილობრივნიცა და უცხოელნიც: პხედავს ყველა, ვისაც თვალი უჭრის!

26 მაისის დროშას ქართველი ხალხის ნაცადი მარჯვენა ჩამოასვენებს კაგვასიონნის მწვერვალები-დან და მოკრძალებით მიუტანს თალხშემოსილ დე-დაქალაქე... მაშინ სიღუწეირეში მყოფ ქვეყანას მი-სი კალთების ცემით მწუხრი და ზავალათი გადაე-ყრება!

ეს დღე დაგვება, ეს დღე ახლოვდება.

საქართველო განთავისუფლდება.

26 მაისის დროშას ვიზილავთ:

«კვლავ მოვალ, გნახავ პირითა,  
არ მტერთა საწუნელითა...»

რ. ინგილო.

## 26 მაისი

26 მაისი! ჟო, რა ლეთაებრივი ნეტარებაა ჩაწინი-ლი ამ სიტყვებში! ამ ნეტარებას განიცდის 26 მაისს ყველი ქართველი: მოხუცი და ახალგაზდა, კაცი და ქალი.

ძნელია ამ განცდათა კალმით გაღმოცემა.

დღეს 26 მაისი ტყვეობაშია, შიომ უფრო წარმტა-ცი და მომხიბლავია იგი. და ეს ბუნებრივია: ჩვენ წაგართვეს ის, რაც ჩვენთვის უძვირდასესია, ურო-მლისობრაც ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია: ეროვნუ-ლი «მე», ეროვნული თვითყოფა. 26 მაისი ამ ეროვ-ნული «მე»-ს მატარებელია და ჩვენი სულიც მასთან არის, მასთან იტანჯვის დღეს.

ყოველ ერს აქვს თვისი ეროვნული დღე, მაგრამ 26 მაისი სულ თავისებურია: თავისებურია მისი ახ-რი და შინაარსი: 26 მაისს ალსდგა ერთ და საკუთარი სახით და საკუთარი გზით შევიდა იგი საკაცობრიო ოჯახში; თავისებურია მისი წარმოშობის ისტორია: 26 მაისი არის შედეგი ქართველი ერთი მრავალსაუ-კუნოვან ბრძოლების თვითარსებობის და თვითსა-სეობის შენარჩუნებისათვის: საგანგებო ცხოვრების გზა, საგანგებო პირობებში საგანგებოთ განვლილი და თვით მომავალიც საგანგებოთ მოიმართება, ჩვენ მას საგანგებოთ დაგვედრებით, რადგან თავისებურია და ღიადან თავისებური 26 მაისის მატარებელი თვით ქართველი ერთია: საგანგებო ცხოვრების გზა მას საგან-გებოთ გასჭედა მისი ტემპერამენტი და აღანთო იგი

საგანგებო აზრებით, განცხადით და მისწრაფებებით.

ამიტომ 26 მაისის სილომეს მხოლოდ ის ჩაწერება და სიღიადეს ის მიწვდება,—ეინც კარგათ იცნობს ქართველ ერს, მასთან ერთად ჭირიც უნახავს და ლინიც.

26 მაისი. დამოუკიდებლობა გამოცხადდა. თბილისი, ჩეულებრივათ დინჯი და გულჩათხრობილი, გრძნობების ზღვაში ცურაობს. ყველა ქუჩაშია გამოფენილი: ქალი და კაცი, დიდი და პატარა: ერთმანეთს ეხვევიან, თვალცრემლიანი თავისუფლებას, ბედნიერებას ულოცვენ. ვისაც არ უნახავს ეს დღე,—მან არ იცის,—თუ რა არის ერის გული აღზენებული, მან არ იცის—როგორიც უკედავება ხორც შესხვული.

მარტო თბილისი არ წეიმობს დამოუკიდებლობის დღეს. წეიმი საყოველთავოა. წეიმობს მთელი ერი. სულ შორეულ მიყრუებულ კუთხეებშიც კი შევება და ნეტარებაა.

მე თვით მინდოდა საკუთარი თვალით მენახა,—თუ რამდენათ მთლიანი იყო ამ დღეს ერთონული სული. ამ მიზნით გავემგზავრე პროვინციაში. ავირჩიო ისეთი კუთხი, რომელიც უფრო ჩამორჩენილი მეგულებოდა. მიგიარ მოვიარე ეს კუთხე. ვესაუბრე ხალხს. იგივე სურათი: ყველას ტუჩჩე ლიმი უჩის, ყველა მედრიდია.

ერთ კოტება სოფელს მივადექი. მალლობზე აფენილი კომწია სახლები. დაბლობში პატარა, ანჩხლი მდინარე მას გვერდებს უბანს. აქვე ეკლესია, ხავს მოყიდებული. ეტყობა ბევრი სანახაობის მოწამეა. მაგრამ დღევანდელი დღე მისთვის სულ უჩვეულოა. ეკლესის გალავანი ხალხითა სავსე. ხმამაღლა საუბარი. ყველა დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს, მას აფასებს, მომავალს ითვალისწინებს. ბედნიერი, ნეტარი ხალხი. აგერ ლრმა მოხუცი მამაკაცი, ორ ჯოხზე დაბჯენილი, წელში მოხრილი, მხირული სახით სალამს მაძლევს და მეკითხება:—«მართალია, შვილო, ჩეენი თავისუფლების ამბავი, რუსებს მართლა დაგახმიერ თავიო?»—«მართალიათქმ», უბასუხე. მოხუცი წელში გაიმართა, გადამეხვია და მითხრა: «ამ ბედნიერ დღეს მოვესწარი და აწი სიკვდილსაც აღარ ვინანებო».

26 მაისს, მართალია, რუსებს თავი დავახწიეთ, მაგრამ რუსები ისევ შემოვგესიერ, 26 მაისი მოვატაცეს და დაატყვევეს, ეს ტყვეობა გახანგრძლივდა, ერი იტანჯვის მტრის კლანწებში, უსაზღვროა ეს ტანჯვა, მაგრამ გვწამს, მალე თავისუფალი ერი 26 მაისს, თავისებურათ, ტრადიციულათ იდლესასწაულებს: 26 მაისი მაღე დააწევეს თავს უცხო უდელს და ეს თავისუფლება სამარადისო იქნება.

ოლია ნებულიძე.

## როგორ ვიდლასას ჭარბობის

ოცდაექვსი მაისი ერთი უდიდეს დღეთაგანია ქართველი ერის ცხოვრებაში, უკეცელია. იგი გამომსახუელია ქართველის ტიპიური, ისტორიული თვისების—მუდმივი ბრძოლის, დაცემის და ალდენის, დამარცხების და გამარჯვების, მისი უკედავი და უტეხი ბუნების, მეობის—თავისუფლების წყურვილის.

ოცდაექვსი მაისი დატაა ახალი საქართველოსი, გამოსავალი წერტილია ჩეენი მომავალის. მას ეყრდნობა დღევანდელობა, მისგანაა ხვალინდელიც. საქართველოს ბეჭი სამუდამოო გადაჭრილია ამ დღეზე.

ბუნებრივია, რომ ოცდაექვსი მაისი ყოველთვის იქნება ციდი სახეობო, საჯარო დღე, მას მიეცემა ფართო მასიური სასიათი—მხატვრული, მუსიკალური, სპორტული, სახე გამოფენების, გაჯიბრების, გამოცხადების ქართველი ერის შემძებელების, კულტურის, ფიზიკურ რაობის...

მაგრამ ეს დღე უნდა ვიდლესასწაულოთ სხვანაირადაც, განსაკუთრებით აქ ემიგრაციაში. უნდა ვიდლესასწაულოთ, აგრე ვსტევათ, მორალურად და ინდივიდუალურად. ეს დღე უნდა იყოს ყოველ ჩეენგანისათვის სულიერი ამაღლების და განწმენდის დღე. უნდა ჩავიხედოთ უშესალოთ, წრფელად ჩეენს იღუმალ, ინტიმურ არსებაში და შევამოწმოთ ჩეენი მამული შევილური გრძნობები და ფიქრები.

დღეს მთელი ჩეენი გონება უნდა მიიმართოს საქართველოსკენ, მხოლოდ საქართველოსკენ. სრული სიცხოველით უნდა დავიხატოთ წინ მისი ნამდვილი სახე, მისი გეოგრაფიული მოხაზულება მთელი მისი სიმდიდრით, სიმშვენიერით; უნდა მოგვესმას მის მდინარეთა შტული; უნდა დავყნოსოთ მისი ამწვანებული ველები და ვიგემოოთ მოღიმარი ყვავილის სიტყბო; ადვიდეთ მთის მწვერვალებზე და არ მოვაშოროთ თვალი ადგილებს, სადაც პირველად ვიკრენით სიცოცხლე და გავიხარეთ დედის სიყვარულით. უნდა დავინახოთ ქართველის მოწნილი მკლავის კუნთები, გაშლილი მკერდი, სევდიანი თვალები, დანაოშებული შუბლი, ბევრის განცდილით აღმეტდილი; ყური მივაპყროთ ქართველის გულის ძეგრას, მოსწრავებულს, მღელვარეს, მაგრამ მუდამ მტკიცეს, იმედით აღსავსეს.

დღეს გადაშალოთ სიყვარულით ჩეენი ბიბლია—ქართველი ერის მატიანე—და გავეხსნოთ დრონი გარდასხული. ვით ღრმა მორწმუნება, წავიკითხოთ დღეს ჩეენი წმიდათა ცხოვრება, ამბები მათი, ვისაც უყვარდათ საქართველო, მისთვის ცოცხლობდნ, მისთვის გამოიარეს ათასი ჭირი და ვაება, მის წარმატებას, განათლებას, ამაღლებას მოაწოდეს მთელი თავისი ძალი და აზრი და მის თავისუფლების დაცვას შესწირეს თავის სისხლის უკანასკნელი წევეთი. დევ, ეს ქართველი ერის თავგადასავალის მოსმენი იყოს დღეს ჩეენთვის წირვა და საღვთო საგალობლები.

ვეზიაროთ ჩვენს სამშობლოს, ვეზიაროთ ჩვენს ისტორიას და ვითხოთ ჩვენს თავს: გვიყვარს ღირსეულად მშობელი ქვეყანა? ვგრძნობთ სიმძიმეს იმ მოვალეობისა, რომელსაც გვაკისრებს ისტორია?

დღეს, 26 მაისს, ვიდრე როდისმე სხვა დროს, ჩვენ უნდა ვიგრძნოთ და შევიგნოთ საგებით ჩვენი ეროვნება, ჩვენი ქართველობა, ნაციონალური მთლიანობა და განუკვეთოლობა. უნდა განვიწმინდოთ ყოველისავე გამთიშვილისა, კერძობითისა და ჯუფურისაგან და განვიმსჭვალოთ იმ შეცნობით, რომ ერთი ვართ—ერთი ქვეყნის და ისტორიის შეიღიბი, ერთად ერთი მისწრაფება გვაქვს—საქართველოს თავისუფლება, მისი კეთილდღეობა და ბერძნიერება, რომ დღევანდელ მეტად მძიმე პირობებში მხოლოთ ერთად, ერთმანერთის მიშველებით შევეიძლია გავუშკლავდეთ მტერს და გამოვიდეთ გამარჯვებული.

ესეთი შეგნება შეგვაძლებინებს უფრო გავიგოთ ერთიმეორე, მეტი პატივი ვსცემ ერთმანეთს...

ვიდლესასწაულოთ ასე ოცდაექვსი მაისი!

ბ. ფირცხალავა.

## საოკუპაციო ხელისუფლება და 26 მაისი

1921 წლში ხელისუფლებამ გაიგო, რომ ანტი-საბჭოთა პარტიები ემზადებიან სადემონსტრაციოთ 26 მაისისთვის და მრავალი ხალხი დაპატიმრა რამდენიმე დღით წინ. თვით 26 მაისს ქალაქებსა და სოფლებში მოხსენებებს აკეთებდენ თანახმად ფარისევლური «შპარგალკისა», რომელიც ცეკამ დამზადა. ეს «შპარგალკა» მეტად უშინაარსო იყო. ის წარმოადგენდა ინსინუაციების გოდოლს ანტისაბჭოთა პარტიების წინაამდეგ. ავიტატორები ამ დღეს ქუჩური ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ მოწინაამდევე პარტიებს, ნამეტურ სოც.-დემოკრატებს. იძულებითს მსმენელებს უმტკიცებდენ, რომ 26 მაისს ქართველება პარტიებმა, გარდა კომუნისტებისა, ოფიციალურად აღიარეს ის, რასაც არაოფიციალურად ჩადიოდენ ათებული წლებით, ამ დღეს ისენი აშკარად გადავიდენ ბურუუზის ბანკში—რევოლუციის წინაამდევო. ეს დღე არის დღე დამოუკიდებლობისა რევოლუციისაგან და დღე დამოკიდებლობის ბურუუზისისაგან. ჩვეულებრივად აცხადებდენ მშრომელი ხალხის მოღალატეებად ყველა მოწინაამდევე პარტიებს და სხვ. ეს «შპარგალკა», რადაც ნაირად, სოც.-დემოკრატებს ჩაგრძნონდათ ხელში ადრევე (26 მაისამდე) და მათი პროკლამაცია, რომლის გამოცემა და გავრცელება სამაგალითოთ ჩაატარეს, სრულიათ ანადგურებდა საოკუპაციო ხელისუფლების მოწინაარს ჭრების. თუ მესამერება არ მდალატობს, 1921 წლში საინტერესო 1922 წლი იყო. 1922 წლის 26 მაისს დილას გამოირკვა, რომ სკოლებში მოწაფეები არ მივიღნენ, არც უნივერსიტეტში სტუდენტები. ქუჩები კი სავსე იყო მოსწავლეებით და

საზოგადოთ ინტელიგენციით. დემონსტრაციამ რომ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, ცეკას სკორეტარიატმა ცეკას საგანგებო კრება მოიწვია. მე რომ ცეკაში მივღიოდი, ზემელის აფთიაქთან ასეთი სურათი დავინახ: ავტომობილით მიდიოდა უნივერსიტეტი-საცეკ მარიამ ორახელაშვილი, ავტომობილს გზაზე დალები გადაელობენ და როცა შოთერი გაჩერდა, ქალები მიუვარდენ და აფურთხებდნენ მარიამს, უკანასკნელი ფერდაკარგული იჯდა და შოთერს ეუბნებოდა წასულიყო, ხოლო შოთერი ვერ ინდრეოდა, ვინაიდან ცოცხალი ბარიკადა თანადათან იჩრდებოდა. ამ არა სახარბისელ მდგომარეობიდან მარიამი ცხენოსანმა რუსის ჯარის კაცებმა გამოიყვანეს. მათრახებით და დაწვერთნილი ცხენის გავეტით ქალები მირეკ-მორეკეს.

ცეკტრალური კომიტეტის სხდომაზე საკითხი იდგა, თუ რა ზომები უნდა მიეღო ხელისუფლებას დემონსტრაციების წინაამდეგ. მომხსენებელმა (პონქრატოვმა) აღნიშნა რომ დემონსტრაციები მილიციონერებს და ჩეკისტებს არაფრად აგდებენ, ბევრი მათგანი დალახესო და მოითხოვდა იარალის ამუშავებას. ცეკას უმრავლესობა წინაამდეგი წავიდა იარალის ხმარების, რადგან დემონსტრაციას მშევიდობიანი ხასიათი ჰქონდა. დემონსტრაციების მხრით იარალის ხმარებას არსად ქონებია ადგილი. მასხვეს ამ სხდომაზე თეოდორე კალანდაძის გამოსვლა. მას ქუჩაში დაენახა, რომ ქალებს და ბავშებს მათრახებით სცემდენ რუსები და დიდი პროტესტი განაცხადა, მაგრამ მიასინიანმა და ორჯონიქიძემ ძალაში დატოვეს მათრახის ტრიალი და ზედ დაუმატეს ხანძრის რაზმები. თუმცა იშვიათი ლამაზი დღე იყო, მაგრამ ხელოვნური წევიძა ცეკლანგან მისწვდა საპროტესტო გამოსულ ხალხს. საღამო ხანს უმეტესი ნაწილი ხალხისა ჩარეკეს გარაქებში, დიდ ეზოებში და ალყა შემარტევეს. იმ ღამეს უმეტესი ნაწილი გაათავისუფლეს, ნაწილს თვეობითაც კი მოუხდა ციხეში ჯდომა და ზოგიერთს დემონსტრაციის მონაწილეს ციმბირიც აჩვენეს. მუშების ორგანიზაციულ გამოსვლას არსად ჰქონია ადგილი (ცალ-ცალკე; ჯგუფებით და ინდივიდუალურადაც მუშები საქართველოს ყველა ქალაქებში ლებულობდენ მონაწილეობას), რადგან ჩეკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ დღებში ქარხნებს და სახელოსნოებს, მეთაურები დროზე დააპატიმრეს და სახელოსნოებში დაძრწოდენ მრავალი საიდუმლო და აშკარა ჩეკის აგენტები. მოწაფეებმა სასტიკად გალახეს ქალაქის (თბილისის) კომენდაციი აბაშიძე. საგრძნობო დემონსტრაციები იყო აგრეთვე ბათომშა და ქუთაისში.

გირილე გაგაბაძე.

## ს ა შ უ ს ა დ ლ ე ბ რ ი თ

ქართველ ემიგრაციაში ამ უკანასკნელათ ყალბი ხმები ტრიალებს საქართველოდან ჩამოტანილ განძეულობის შესახებ. ამ ხმების გასაქარწყლებლათ საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი ცნობები, რომელიც რეალური ცნობებიამ მიიღო უტყუარ წყაროდან:

ჩვენი ქვეყნის მტრის მიერ დაკავების წინ, თებერვალს-მარტს 1921 წ., დაისვა კითხვა ჩვენი მუზეუმების ბეჭრ ძირითა და იშვიათ ნივთების თუ ხელთნაწერების უცხოეთში გატანისა, შესანახათ. ეს კიდეც ას მოხდა და რამდენიმე ათეული ყუთი ჩამოტანილ იქნა საფრანგეთში პროფ. ექპ. თაყაიშვილის მეთვალყურეობით, და მან ისინი საქართველოს ეროვნულ მთავრობას მიაბარა. განძეულობა, საქართველოს სახელმწიფო ხაზინად წოდებული (trésor d'Etat Géorgien), ინახებოდა საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში საქართველოს სრულუფლებიან ელჩის სახელზე.

საქართველოს მოხსნის წინ 28 ივნის 1933 წ., ელჩმა განსაკუთრებული ნოტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, სადაც აცნობდა რა უკანასკნელს განძეულობის საფრანგეთში ჩამოტანის ისტორიას და მის დაუფასებელ ლირებულებას ქართველ ერისთვის, გამოსთვამდა თავის ლრმა რწმენას, რომ ის უკლებლათ დაუბრუნდებოდა საქართველოს, როცა ამისთვის ხელსაყრელი დრო დაგებოდა.

საქართველოს მოხსნის შემდეგ საქართველოს განძეულობა საფრანგეთის ხელისუფლებამ ჩაბარა იმ პირს, რომელსაც მინდობილი აქვს ყოფილ რუსეთის საიმპერიო ქონება საფრანგეთში, და განძეულობა ინახება იმავ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში.

ვინაიდან განძეულობას, რომლის ერთი ნაწილი სრულიად გაუხსნელათ ინახებოდა, ხოლო მეორე ნაწილის სია პროფ. თაყაიშვილის მიერ იყო შედენილი, სამი სხვა სანდო პირის თანდასწრებით, საქართველოს სახელი ჰქვია და მის კუთვნილებას შეადგენს, ჩვენ გვწამს, რომ საფრანგეთი, თანახმა მის კეთილშობილ ტრადიციებისა, არ დაუკარგავს ამ ძეირფას ქონებას მის პატრიონს—ქართველ ერს.

## ზორილი პარადან

კირიას, 31 მარტს, ნიუორქში, თავის ბინაზე, ფილტვების ანთებისგან გარდაიცვალა გიორგი ვასილისებ მაჩაბელი. ისედაც მცირე ჩიკონგან აქაურ ქართველებს მოგვაკლა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წევრი.

განსაკუთრებული ცნობილი იყო როგორც პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე. აქ ამერიკაში, განსაკუთრებით ნიუორქის საზოგადოებაში მას კარგად იცნობდნენ. სახელი მოიხსენია უმაღლესი ხარისხის პარიფიუმერის გამოშვებით, რომლის განყოფილება პარიზშიც არის. თავის ხელით დაწყებული პატარა სარდაფის კუთხეში ეს საქმე გაზარდა მოკლე ხანში იმ წერტილამდე, რომ დღეს მისი ქონება ფასდება ნახევარ მილიონ დოლარზე მეტად. უკანას-

კელ ხანებში აპირებდა განყოფილების გახსნას შანეაში (ჩინეთში) და კალიფორნიაში. ამ უკანასკნელი ადგილიდან პატრობლანით ჩამოტრინდა ნიუორქში. გზაში გაციდა და ერთი კვირის ავადყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა...

დასაფლავება მეტად ფეროვანი იყო. სამ აპრილს, რთხმაბათს, დილიდან საყდრის ახლომახლო ხალხით გავსებული იყო; ფოტოგრაფები, კორესპონდენტები, ასამდე წესიერების დამცველი პოლიციელი და სხ. თვით დიდი საყდარი ხალხით გაჭედილი იყო. დასწრენ ყველა აქაური ქართველები და მთიელები, განსვენებულის ყოფილი ცოლი იტალიელი ნორინა კარმი, ბევრი მეგობრები ამერიკელები, რუსები, სომხები და სხვ. იყვნენ მთავრობის წარმომადგენელი ფოსტის მინისტრი ფარლე, სენატორი კოპელანდი და სხვანი.

განსვენებული გამოწყობილი იყო თავის ჩოხა-ახალუში და კუბონე ეფარა ქართული ღრღმა. კუბოს ამშვენებდა მრავალი ყვავილები და გვირგვინები: ამერიკის ქართველ საზოგადოებისგან, ამერიკაში მყოფ მთიელებისგან, ვასილ ღუმბაძისაგან და სხვ.

წირვის დროს კუბოს გვერდში ედგა საპატიო ყარაული ჩოხაში გამოწყობილი ქართველი და მთიელი. წირვა დაიწყო მიტრობლიტმა. სულ მოკლე ხანში ყველასთვის მოულოდნელად გაისმა ქართული ლოცვა მაგარი და ლამაზი ხმით დეკანოზ იასონ კაპანაძისა, რომელიც განსაკუთრებით ქალაქ კლივ-ლანდიდან ჩამოსულიყო. ზეგიდან ხორმ უფალო შეგვიწყალენ—ით უპასუხა... მთელი საყდარი თითქოს შეინძრა. მლოცველებმა ერთმანეთს გადახედეს. ქართველების უმეტესობა, ვინც მანამდი გაქვავებული იდგა და ზოგი მათგანი უწინ საყდარსაც არ ეკარებოდა, ახლა ქართულ წირვის გაგონებაზე ცრემლებს ვერ იკავებდა...

ძლიერი იყო ქართველის დაკარგვა, მაგრამ უფრო ძლიერია ერის ძალა და სასოება, რომელიც ამ მოულოდნელ ქართულ ლოცვაში გამოიხატა. იყვნენ ისეთი ქართველებიც, ვინც ქართული წირვა თავის სიცოცხლეში ეს იყო პირველჯერ გაიგონეს. ამ წუთებში ქართველებმა იგრძნეს სულიერი ამაღლება, თავის ერის სიდიდე და მამა კაპანაძისადმი უაღრესი პატივცემა და მაღლობა. მამა იასონ კაპანაძე 21 წლისა იყო, როცა გამოიყელ ეპისკოპოსის მეობებით ალიასკაში გაიგზავნა მისიონერად. მან ამერიკაში ცოლი შეირთო. 14 წლიწადი დაბყო და მერე საქართველოში დაბრუნდა. იქაც 14 წლი გაატარა, მიიღო მხურგალე მონაწილეობა საეკლესიო პოლიტიკურ ბრძოლაში და 1922 წლს ცნობილი ქართული ეკლესის დადგენილება ბოლშევკიების წინაამდეგ რომში ჩამოიტანა, რასთვისაც ბოლშევკიების «სასამართლომ» შეირთო 10 წლის ციხე მიუსაჯა. წირვა და პანაზებიდი იყო სამ ენაზე: ინგლისურად, ქართულად და რუსულად. სიტყვები წარმოსთვეს საყდარში მიტრობლიტმა მამა, კაპანაძემ და ისაკლი ღრბელიანმა.

სასაფლაოზე, სადაც უჩა დაღიანი და ყოფილი ერევნის ვიცე გუბერნატორი ფანჩულიძე არიან და-



მარხულინი, სიტყვა წარმოსთქვეს პავლე კვარაცხელიამ ქართულად და კავკასიელ სომხების მხრით რუბენ სტეპანიანიცმა.

დიდი დანაკლისისა სამშობლოსთვის ისეთი ადამიანის დაკარგვა, როგორიც იყო გიორგი მაჩაბელი, ჯერ მხოლოდ 49 წლის, სახეს ენერგიით, კარგი ქართველი.

რომაელები იტყოდენ რომ მკვდარზე ან კარგი თქვი და ან არაფერიო. მაგრამ ჩეენს პატარა ერს, ერს მუდამ განსაცდელში მყოფს—ყოველი საღი ქართველი სათვალავში ყაეს, და სიკეთილის დროს მას ანგარიში მოეთხვება. სიკეთილი ჩეენთვის არის ერთგვარი გამოცდა, გამოცდა სამშობლოს წინაშე, ვინ რა გააქცია, ვის როგორი გული ჰქონდა. დიდს მეტი მოეთხვება, უბრალოს თუნდაც კეთილი გული, კეთილი სურვილი თავის სამშობლოსადმი... ვაი ორგულს, ვაი იმ ქართველს, ვინც თავის სიცოცხლეში ქართველი არ იყო. მის სამარტესან ქართველს ენა გაეკმინდება. გიორგის საფლავზე კი ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა...

სამშობლოში და სხვაგანაც ბევრი კარგი ქართველი დავკარგეთ... მომენტი იქაც და სხვაგანაც ჩეენთვის მეტაც სევდიანია...

მაგრამ ქართველი ხალხი იმედით ცხოვრობს, იმედით და მასთან დაუღალავი მეცადინეობით, გამჭრიანობით, სამშობლოსთვის ბრძოლით და ამით ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვება...

ნაური.

### პარიზ-მოსკოვის პარტიის შესახებ

გერმანული პრესა საფრანგეთ მოსკოვის ხელშეკრულების ჩამოგდებას წინდაწინვე სასტიკი კრიტიკით და უნდობლობით უურებდა. ხელშეკრულების ხელის მოწერისა და გამოქვეყნების შემდეგ იგივე დამოკიდებულება უფრო ცხარე გამოხატულებას პოულობს. პრესის ერთი ნაწილი მას უფრო დაცინვით და აბუზად აგდებით შეხვდა; ზოგი ორგანო აღნიშნავს, რომ მოსკოვმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, რომ მან ისეთი ხელშეკრულობა, როგორიც მას სწულობდა («ავტომატური დახმარებით»), ვერ მიიღო, რაშიაც ლავალის დამსახურებას აღიარებენ; ზოგიც შეეცადა გაცარატებისა და აღშოთოებისგან თავის შეკავებას, იმ საბუთითაც, რომ ყოველ შემთხვევაში მოულონდნელი არაფერი მომხდარა (ეს თავდაჭრილი ტონი სჭარბობს ნამეტანავად და სავალეთ გერმანიის—რენანის—როგორც ინდუსტრიალურ ისე კათოლიკურ პრესაში); მაგრამ გერმანული პრესის უთიდესი და გადამჭრელი ნაწილი—განსაკუთრებით ხელშეკრულობის ტექსტის დეტალურად განხილვის შემდეგ—აღშოთოების და სასტიკი პროტესტის სულით არის გაუდღნილი. მთელი პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ პატი აშკარად მიმართულია გერმანიის წინამდეგ, რომ ის თავისი არსებით თვით ეგრძობის და ერთა ლიგის იდეაზე დაკვრაა. «ფრანგულ რუსული მარწუხი»,

«საფრანგეთი მოსკოვის მკლავებში», «გერმანიის წინააშლება», «ევროპის წინააშლება», «ერთა ლიგის იდეა გაყორტება», «ომის წინა დროს სტალინი», «ანტარტის აღდგენა»—ასეთია გერმანულ გაზეთების წერილთა სათაურები ან დედა აზრი მაინც.

ბერლინელი ოჯიციონი «ფელკიშერ ბეობასტერი» პაქტში ხედავს თავდასხმის სამხედრო ხელშეკრულობას და დასაკვნის:

«ევროპას ხელში რჩება შემდეგი ფაქტი: ბოლშევიკური პატრინერის უენევის ერთა ლიგაში შესვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ის თავის პარიზელ მეგობართან ერთად იმავე ლიგას ანგრევს და სანაგვეზე აგდებს».

«ბერლინერ ბერზენ-ცაიტუნგი» ამბობს:

«ეს პაქტი, რომელიც თითქოს მუქარისა და თავდასხმის საშიშროების წინააშლებელი არის მიმართული, თვით არის მუქარა და თავდასხმის საშიშროებალი».

გაზეთი მიმართავს ინგლისს თხოვნა გაფრთხილებით, გამოიყვანოს ევროპა განსაცდელისაგან.

ინდუსტრიალურ წრეებთან ახლოს მდგომი «დოიტშე ალგემაინ ცაიტუნგი» სწერს:

«ალბად არასოდეს, არც ერთ ხელშეკრულობაში რომელიმე ქვეყნის წინააშლებელ მიმართული აზრი ისე უსილცვილოდ და შიშვლად არ ყოფილა გამოთქმული, როგორც ამ «ურთიერთ-დახმარების» ხელშეკრულებაშია». გაზეთი მიუთითებს ფრანგებს, რომ ის თავიდანვე და დღემდის ადგილობრივად სინდისიერად სწავლობს ბოლშევიზმის ბუნებას და აცხადებს, რომ მოსკოვის ხელისუფალთა მიზანი იყო, არის და დარჩება მსოფლიო რევოლუციისათვის».

ასევე სწერს ცნობილი პაულ შეფერიც, ერთდროს მოსკოვის დიდი მეგობარი, «ბერლინელ ტაგებლატის» შეფრედატერი, რომელმაც რამდენიმე მოწინავე მიუძღვნა პატი.

«მოსკოვის გზა უკვე სავსებით წინასწარ მოხაზულია—ამბობს შეფერი. მოსკოველ ბატონთ შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ თავისი პროგრამით და არა სხვანაირად. იმათ ბურუუზიულ სახელმწიფო ბრძანების კაშშირი სჭირიათ მხოლოდ თავისი პოზიციების გასამარგრებლად. ხოლო ორგაკი საკმაოდ მომაგრდებიან, იმ წამსვე ბურუუზიულ ევროპას თავს დაესახიანო».

საერთოდ გერმანულ პრესაში მოსკოვის საწინააშლებო განწყობილება დღითი დღე ძლიერდება. მართალია ჯერ კიდევ უკანასკნელ დღეებში მისცეს აქ მას 200 მილიონი მარკის საქონლის კრედიტი, მაგრამ ამას ანტიბოლშევიკური კამპანია არ შეუსუსტებია. პრესა ვრცელად აშეუქებს საბჭოთა კაშშირის შინაგან ვითარებას და დაზღვრულ ერთა მდგრამარებასაც არ აკლებს თავის ყურადღებას. მრავალდება წინგები და წერილები უკრაინაზე, კავკასიაზე, თურქეთსტანზე და სხვა. მაგალითად ბაქოს დაპყრობის 15 წლის თავისებულების მიერ ცამატებელი და დაზღვრულ ერთა მდგრამარებასაც არ აკლებს თავის ყურადღებას. მრავალდება წინგები და წერილები უკრაინაზე, კავკასიაზე, თურქეთსტანზე და სხვა. მაგალითად ბაქოს დაპყრობის 15 წლის თავისებულების მიერ ცამატებელი და დაზღვრულ ერთა მდგრამარებასაც არ აკლებს თავის ყურადღებას. (28 აპრილის ნომერი) გამოუშვა მოწინავეთ ქართველი აგტორის წერილი კავკასიაზე, რომელშიაც გაშუქებულია როგორც კავკასიის ერთა ვინაობა და უფლებები ისე მათი ტანჯვა-წამება და ბრძოლა. აღნიშნულია აგრეთვე კავკასიის

კონფედერაციის პაქტის ჩამოგდება და საბჭოს არ-  
ჩევა და ბოლოს გამოაშვარავებულია ლიტვინოვ-  
ვალახების ვითომდა «ანტი იმპერიალისტური»  
თვალთმაქცობა.

იტალიური პრესა.

ფრიიად საგულისმიერო წერილია მოთავსებუ-  
ლი რუსეთ საფრანგეთის შეთანხმების შესახებ გაზ. «Gazetta del popolo»-ში, რომელიც თუმცადა არ წა-  
რმოადგენს იტალიის დიპლომატიის შეხედულებას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გამოხატავს მართველ  
წრების აზრებს. წერილის აკტორი აგადებიკოსი და  
სენატორი ფრანჩ. კოპოლა სწერს:

საფრანგეთი ცთილობს რუსეთთან დაახლოვებას  
და ავიზუაციება, რომ წარსულში რუსეთმა არა ერთ-  
ხელ უდალატა. ავიზუაციება ისიც, რომ დღევანდელი  
რუსეთი არაა ძველი რუსეთი—სახელმწიფო წესიე-  
რების და ტრადიციის, არამედ არის საბჭოების რუ-  
სეთი, რომლის მიზანია ეკრობაში არსებულ წესიე-  
რების და ცივილიზაციის დაზღვევა, და ამ რუსეთს  
დღეს განაგებენ ადამიანები, რომელთაც 1917 წელს  
უკუაგდეს არა თუ ყოველი სამხედრო და პოლიტი-  
კური ვალდებულება, არამედ ფინანსიურიც. პარიზ-  
ში არ უნდათ დაინახონ, რომ სწორედ ეს ადამიანე-  
ბი ეწვეიან საფრანგეთში გაცხარებულ პროპაგანდას  
ორწლიან სამხედრო სამსახურის წინაამდეგ, შეაქვთ  
არეულობა ჯარის კაებში და ყოველნაირად ცთი-  
ლობენ ურანგების მღვმარეობის გართულებას,  
რომ სოციალურ რევოლუცია მოწყონ. ევროპის  
დღევანდელ პოლიტიკის შეცდომათა შორის რუ-  
სეთ-საფრანგეთის ხელშეკრულობა, უცკველია, ყვე-  
ლაში უფრო დამახსიათებელია და ყველაზე უფრო  
მავნებელი. რუსეთთან დაახლოვება ჰერიომ გამოი-  
გონა პირველად შინაურ საჭიროებისთვის, მემარც-  
ხენების გულის მოსაგებად, და აგრეთვე გერმანელ-  
თა საფრანგეთის წინაამდეგ. ფრანგები ცთილობენ რაც  
შეიძლება მეტი ხელშეკრულობა გამოპლანონ ქა-  
ლალზე და არ ერიდებიან ისეთსაც, რომელსაც სა-  
ერთო შეხედულობით არავითარი სარგებლობის  
მოტანა არ შეეძლოს. ამ შემთხვევაში ისინი მოგვა-  
ვონებენ ადამიანს, რომელიც მარტო რომ მოდის  
ბნელ ქუჩაში და შეშინებული სიმღერას იწყებს თა-  
ვისთავის გასმხენევებლად. მაგრამ ვინ არ იცის, რომ  
სიმღერა ნაკლებად უშეველის განსაყიდლში მყოფს.  
ცთებიან ფრანგული გაზეთები, როცა მშვიდობია-  
ნობის და წესიერების დასაცავად ეყრდნობიან იმ  
ბოლშევიკებს, რომლებიც ყველაზე მეტად ებრძევიან  
მშვიდობიანობას... შემდეგ კიდეც რომ ვერწმუნოთ  
საბჭოების ლოიალობას, ისნინ ფიზიკურად ვერ შე-  
სძლებენ დაქმარინ საფრანგეთს, ვინაიდგან პოლო-  
ნეთი არ გაატარებს წითელ არმიას თავის ტერიტო-  
რიაზე და რუსეთ-საფრანგეთის დაკავშირების შედე-  
ვი ის იქნება, რომ პოლონეთი კიდევ უფრო დაუახ-  
ლოვდება გერმანიას.

დასასრულ კოპოლა დაასკენის. რომ ევროპის  
სახელმწიფოები უნდა შეერთდენ რუსეთის წინა-  
ამდეგ.

## ზერაინელთა შორის

ლონდონში შესდგა ინგლისის ცნობილ პოლი-  
ტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა მეთაურო-  
ბით ინგლისელ-უკრაინელთა კომიტეტი, რომელ-  
მაც შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

«ის როლი, რომელიც უნდა ითამაშონ უკრაინე-  
ლებმა აღმოსავლეთ ევროპაში, ლიხსია იმის, რომ  
ინგლისმა მათ ყურადღება მიაკიოს. უკრაინის ერს  
უკავია ტერიტორია, რომელიც ეთნოგრაფიულად  
თითქმის მთლიანია და რომლის სივრცე მეტია ვი-  
ზრე ინგლისის ან საფრანგეთისა. ის დღეს დანაწი-  
ლებულია საბჭოებსა, პოლონეთსა, ჩეხელსლოვაკია-  
სა და რუმინიას შორის. აქმდის ნაკლებად თუ ვინ-  
მე ზრუნვდა უკრაინის საკითხის სამართლიან გადა-  
წყვეტისათვის. ეს საკითხი დღიურ წესრიგში დგას  
და ამავე დროს მოსალოდნელია გართულება, რო-  
მელმაც უეიძლება მთელი ევროპა ჩითრიოს. აი ამ  
მიზნისთვის—რომ დავეხმაროთ! საკითხის გადაჭრას,  
არსდება ინგლის-უკრაინის კომიტეტი, რომელიც  
თვალყურს ადგენებს ამბებს და საჭირო დროს გა-  
დასდგამს სათანადო ნაბიჯებს».

## რ ე დ ა შ ც ი ი ს ა ზ ა ნ

ეს ნუმერი შესდგება ორი რვეულისაგან, ერთი  
მიღვნილია იოსებ პილსუდსკის ხსოვნისთვის.

რედაქცია ბოდიშ იხდის თავის თანამშრომლე-  
ბის წინაშე, რომ უადგილობისა გამო ყველა წერი-  
ლი ვერ დაიბეჭდა სამაისო ნუმერში.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაცია.

## 2 6 8 1 0 6 0

საქართველოს დამოუკიდებლობის მე-XVII  
წლისთვის აღსანიშნავად

AÉRO CLUB DE FRANCE-ის შენობაში

6, rue Galilée—(Paris 16)—Métro Boissière

ნაშუადლევის 3 საათიდან 7 საათამდე მოწყობა

## დ ა რ ბ ა ზ მ ბ ა

ხარჯების დასაფარავად გადასახდელია სულზე 5 ფრ.  
ოჯახზე 10 ფრ. უფასო ბარათების მისაღებად უმუ-

შევრებმა უნდა მიმართონ გამგეობის წევრს.

ასოციაციის გამგეობა.